ლექსიკა

მოსწავლე _____

წაიკითხე თითოეული წინადადება. ყოველი წინადადების ქვეშ მოცემულია სამი სავარაუდო პასუხი (ა, ბ, გ).

შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

პირველი მაგალითი:

მხდალი კურდღელი დათვის დანახვისთანავე ბუჩქებში მიიმალა. ამ წინადადებაში სიტყვა **მხდალი** ნიშნავს:

ა) მორცხვს ბ) მშიშარას გ) სწრაფს

უნდა შემოხაზო პასუხი **ბ) მშიშარას**, რადგანაც ამ წინადადებაში სიტყვა მხდალი მშიშარას ნიშნავს.

მეორე მაგალითი:

ფუტკარი ზუზუნებს, ცხენი _____ .

ა) ყროყინებს ბ) ჭიკჭიკებს გ) ჭიხვინებს

უნდა შემოხაზო პასუხი **გ) ჭიხვინებს**.

გამოტოვებული სიტყვა წინადადებაში არ ჩაწერო, მხოლოდ შემოხაზე შერჩეული სიტყვა.

---

1. ლაშას გამოძერწილ დოქებსა და ფიალებს **ხინჯი** არ ჰქონდა. აქ სიტყვა **ხინჯი** ნიშნავს:

   ა) ბზარს. ბ) ნაკლს. გ) ფასს.

2. მეტისმეტი დარდისაგან **განსჯის** უნარი დაეკარგა დედაბერს.
   აქ სიტყვა **განსჯა** ნიშნავს:

   ა) გაანალიზებას. ბ) ლაპარაკს. გ) მოსმენას.

LIVEWORKSHEETS

3. მტრის დასახვედრად **ზვიადი** მთებიც კი რისხვით წამოდგნენ.
   აქ სიტყვა **ზვიადი** ნიშნავს:

   ა) ამაყს. ბ) გულადს. გ) მრისხანეს.

4. მდინარის ორივე ნაპირს ერთმანეთთან **კამარიანი** ხიდი აერთებს.
   აქ სიტყვა **კამარიანი** ნიშნავს:

   ა) ბოძებიანს. ბ) თაღიანს. გ) მოაჯირიანს.

5. მდინარის ნაპირების გამაგრება **საშური** საქმე იყო. აქ სიტყვა **საშური** ნიშნავს:

   ა) გადაუდებელს. ბ) დაუძლეველს. გ) რთულს.

6. მეფემ **შეიწყალა** მესარკე და ბრძანება გასცა, მის სამეფოში აუგი არავის ეთქვა მასზე. აქ სიტყვა **შეიწყალა** ნიშნავს:

   ა) დააწინაურა. ბ) დააჯილდოვა. გ) შეიბრალა.

7. **პირქუშად** დაჰყურებდა ცა ნაომარ ველს. აქ სიტყვა **პირქუშად** ნიშნავს:

   ა) გულგრილად. ბ) მრისხანედ. გ) სევდიანად.

8. **ცხადად**, ანუ:

   ა) გასაგებად. ბ) საფუძვლიანად. გ) სწორად.

9. **კდემამოსილება**, ანუ:

   ა) გონიერება. ბ) მოკრძალება. გ) სილაღე.

10. ჯგუფად მდგარი ხეებით დაფარული მიწის პატარა მონაკვეთი არის:

   ა) ბექობი. ბ) კბოდე. გ) კორომი.

11. გზის გადასაკეტი ასაწევ-დასაწევი მოწყობილობა არის:

   ა) ისარი. ბ) შლაგბაუმი. გ) შუქნიშანი.

12. დაასრულე წინადადება: ბუხარში აგუზგუზებული ცეცხლი
   მალევე ..... .

   ა) გაჩერდა. ბ) გაცივდა. გ) მინელდა.

13. შეარჩიე სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია წინადადებაში: გოგონები ჩაის პლანტაციებში ..... ირჯებოდნენ უფროსებთან ერთად.

   ა) მუყაითად. ბ) ყაირათიანად. გ) ყუათიანად.

LIVEWORKSHEETS

14. სიტყვა **<u>უზადოს</u>** სინონიმია:

ა) უგვანი. ბ) უნაკლო. გ) უსასრულო.

15. ზოგ ხეს საკმაოდ **მაგარი** მერქანი აქვს. რომელია **<u>მაგარის</u>** საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა?

ა) გლუვი. ბ) რბილი. გ) ხაოიანი.

16. ფრაზეოლოგიზმი **<u>ცეცხლის ფასი აქვს</u>** ნიშნავს:

ა) არსად იშოვება. ბ) მეტად ლამაზია. გ) ძალიან ძვირია.

17. **ჩვენს გულს ესალბუნება** გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმა.
ფრაზეოლოგიზმი **<u>ჩვენს გულს ესალბუნება</u>** ნიშნავს:

ა) სიამოვნებას გვანიჭებს.
ბ) ღრმად გვაფიქრებს.
გ) ძალიან გვაღელვებს.

18. სპორტსმენმა გამარჯვების კიდევ ერთი შესაძლებლობა **დაკარგა**.
<u>დაკარგა</u>, ანუ:

ა) სხვას გადაულოცა. ბ) სხვას ხელში ჩაუგდო. გ) ხელიდან გაუშვა.

LIVEWORKSHEETS